ხელშეკრულება № 76
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბაღდათი 28 მაისი 2014 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ბაღდათის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი რობაქიძის სახით და მეორე მხრივ შპს „გი ან 2011" „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გია კოპალეიშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA140012484 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ხარჯთაღრიცხვა;

გ) სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
5. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.
6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.

1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტია: ბაღდათის მუნიციპალიტეტში ქ.ბაღდათში 9 აპრილის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის სამუშაო. (შემდგომში „სამუშაო").

CPV კლასიფიკატორის კოდი: 45200000.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება დღგ–ს ჩათვლით შეადგენს 118120(ასთვრამეტიათასასოცი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1.შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით;

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, როდესაც წარმოდგება ფორმა #2, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია და ექსპერტიზის მიერ გაცემული ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესაბამისობის დასკვნა;

3.3. შემსყიდველი თანახმაა წინასწარ გადაურიცხოს მიმწოდებელს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30% იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება საავანსო გარანტია მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%-ის ოდენობით.
3.4. ავანსის გაცემის შემთხვევაში ანგარიშსწორება ხორციელდება შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან თავდაპირველად ავანსის თანხის გამოქვითვით;
3.5. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით მაინც უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.
3.6. იმ შემხვევაში თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოს მიწოდებას და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამ ვადის გაგრძელებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) საავანსო გარანტიით გათვალისწინებული შეუსრულებელი სამუშაოების თანხის სრულად დაბრუნებაზე.
3.7. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაო განხორციელდება სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წარმოდგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად;
4.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და გადმოცემული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 1 წელს.
4.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 30 დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ობიექტის ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.
4.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 30 დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

5. შესყიდვის იბიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაოს მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა #2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) და ექსპერტიზის მიერ გაცემული ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესაბამისობის დასკვნა;
5.2 ყოველი ეტაპის დასრულებისას სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებისა და მოცულობის შემოწმების მიზნით, მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.
5.4. სამუშაოს ეტაპების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. სამუშაოს შესრულების ვადა და პირობები

6.1 სამუშაოების შესრულება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის მიხედვით;
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდა 45 დღეში;
6.3. მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაანთავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

8.1.2. სამუშაოების წარმოებისას დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.2.2. განახორციელოს მასალების ხარისხის კონტროლი, შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

8.2.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

8.2.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება.

8.2.5. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

8.3.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს სამუშაოების ზედამხედველობის ქვეშ.

8.3.4. აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

8.3.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.3.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

8.3.7. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

8.3.8. სამუშაოების დასრულების შემდეგ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვულ ვადაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მიმწოდებლი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ

გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა, რაც დაუყოვნებლივ ეცნობოს მხარეებს.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა გრაფიკისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

10.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ან/და მისი ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს სამუშაოების ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2014 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

შემსყიდველი:

სსიპ "თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი"

ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.№9

სს "ლიბერთი ბანკის" ბაღდათის ფილიალი

ს/კოდი 225064471

ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა GE86LB0120178507243000 0

საკრებულოს თავმჯდომარე გ.რობაქიძე

მომწოდებელი:

შპს « გი ან 2011 »

ქუთაისი, ლესელიძის 1 ჩ. #15

სს "საქართველოს ბანკი"

ს/კოდი 412676322

ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა GE44BG0000000893166900

დირექტორი გ. კოპალეიშვილი